გავზარდოთ ახალთაობა

მშობლებს ძალიან კარგათ შეუძლიან რამდენიმე ხანი მოიჭირვონ, მით უფრო, რომ შვიდი წლის ყმაწვილი იმისთანა საჩენ საქმეს არას უკეთებს და შემდეგ კი ერთიორად მეტს შეეწევა მამას, ვიდრე უსწავლელი.

უფრო კარგი იქნება შევხედოთ ჩვენზედ უკეთესებს და მივბაძოთ: გავზარდოთ ახალთაობა, ნურაფერს დავიშურებთ სკოლების დასამართად, რადგანაც, როგორც ზევითა ვსთქვით, იმათში იმალება ყოველი ხალხის მომავლის ბედი და უბედობა, თორემ ჩვენზედაც ისრე იტყვიან, როგორც სპარსეთზედ: „გეება რა სპარსეთის სამთავროს მცხოვრებნი, დაემგზავსნენ ცხვრის ფარას, რომელიც თავისუფლათ და გაუწყვეტლივა სძოვდა ტრიალ მინდორზედ მინამ, ბოლოს, საიდგანმე არ გაუჩნდა მგელი და არ იმსხვერპლა“. ესრე მოუვა ყველას და ესრე საანდაზოდ გახდება ის ხალხი, ვინც უარყოფს რიგიან აღზრდას და განათლებას.

ხშირად ჭია იმ ფერისა ხდება, რა ფერის ფოთლითაც იკვებება. ტყუილად არ უთქვამთ ქართველებსა: ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. როგორიც უნდა მაგარი, ხასიათისა იყოს და სხვა მიმართულების...

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა: **თეა ქურასბედიანმა**

თბილისი, 5 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში